

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბაკალავრო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა	240 ECTS კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მიზნები	<p>სათანადო კომპეტენციის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელსაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში საქმიანობისა და შემდგომი დახელოვნების თვალსაზრისით შესაძლებლობა ექნება მონაწილეობა მიიღოს:</p> <ul style="list-style-type: none"> - დაავადებათა კონტროლისა და პრევენციისათვის აუცილებელი ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში; - მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში; - სამედიცინო მომსახურების მონიტორინგსა და ეფექტურობის შეფასებაში.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა/-ები	<p>საქართველოს მოქალაქეებისათვის – ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგები თსსუ-ის მიერ დადგენილი და სათანადოდ გამოცხადებული საგნების პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით. უცხოეთის მოქალაქეები პროგრამაზე დაიშვებიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით.</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობებით საგნები, მათი პრიორიტეტულობა და კოეფიციენტები განისაზღვრება მოცემული პროგრამის შესწავლის დაწყებისათვის აუცილებელი ცოდნის დონით. საგნები და მათი კოეფიციენტები არაა მუდმივი, იცვლება პროგრამის შედეგების მიღწევის ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგიის შესაბამისად და ქვეყნდება ყოველწლიურად, დადგენილი წესის მიხედვით.</p> <p>საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით საქართველოს კანონმდებლობით და თსსუ-ის რეგულაციების შესაბამისად. პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე, ცნობარსა და თსსუ-ის ვებგვერდზე.</p>
სწავლების მეთოდები	სწავლება დაფუძნებულია სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებზე და ითვალისწინებს სტუდენტის აქტიურ ჩართულობას აკადემიურ პროცესში. ამ მიზნით გამოიყენება:

	<p>ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები, სემინარები, პრაქტიკულ-სემინარული მეცადინეობები, კოლოკვიუმები, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, ლაბორტორიული სწავლება, სწავლება სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენებით, ჯგუფური მუშაობა, მონაცემთა ანალიზი, დისკუსია დებატები, დემონსტრირების მეთოდი, კლინიკურ გარემოში სწავლება, პრეზენტაციები, სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა.</p>
<p>სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა</p>	<p>სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი შეესაბამება საქართველოში სათანადო მარეგულირებელი წესების და თსსუ-ის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის შესახებ, ეფუძნება გამჭვირვალობასა და სამართლიანობის პრინციპებს.</p> <p>შეფასების კომპონენტებია შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება, მათი ჯამი განსაზღვრავს სტუდენტის საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა, რაც წარმოადგენს შუალედური შეფასებების (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 31 ქულა) და დასკვნითი შეფასების ჯამს. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასების ჯამით შეიძლება დაუგროვდეს 51 ქულა.</p> <p>გამოცდა ჩაბარებულად ითვლება სტუდენტის მიერ მინიმუმ 20 ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% და მეტი) მიღების შემთხვევაში.</p> <p>შეფასების სისტემა სტუდენტის მიერ მიღებული ყველა კომპონენტით ითვალისწინებს:</p> <p style="padding-left: 40px;">ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>(A) ფრიადი - 91-100 ქულა, (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა, (C) კარგი - 71-80 ქულა, (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა, (E) საკმარისი - 51-60 ქულა,</p> <p style="padding-left: 40px;">ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი/სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>ცალკეულ სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასებისათვის დადგენილი დამატებითი მოთხოვნები დეტალურადაა აღწერილი შესაბამის სილაბუსში და ცნობილია სტუდენტებისათვის.</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p><u>ცოდნა და გაცნობიერება</u> ბაკალავრმა იცის: - გარემოში და ბიოლოგიურ სისტემებში ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების ძირითადი კანონზომიერებები და აცნობიერებს ეკოსისტემაში მათი დამოკიდებულების მნიშვნელობას.</p>

- ნორმასა და პათოლოგიაში ადამიანის ორგანიზმის მაკრო- და მიკრომორფოლოგიისა და ფუნქციობის კანონზომიერებები, აცნობიერებს გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და შეფასებისათვის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის მნიშვნელობას;

- ავადობის ანალიზის ჩატარების, გამაჯანსაღებელი და პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავების, სოციოლოგიური კვლევების ჩატარების ძირითადი პრინციპები. გადამდებ დაავადებათა შემთხვევებისა და ეპიდფეთქებების მიზეზების დადგენისა და ეპიდემიური კერის გამოკვლევის მეთოდები. ნოზოკომიური ინფექციების პრევენციული და ეპიდსაწინააღმდეგო საქმიანობის ძირითადი პრინციპები. დაავადებათა ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის, კონტროლისა და პრევენციის მნიშვნელობა და არსი, ეპიდემიოლოგიური კვლევის მეთოდები;

- შრომისუნარიანი მოსახლეობის პროფესიული ვარგისიანობის, საწარმოო ობიექტებზე შრომის პირობების კვლევის მეთოდები. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული დაწესებულებების საქმიანობის შეფასების თანამედროვე პრინციპები. საგანმანათლებლო დაწესებულებებში ავადობის მონიტორინგის, პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისა და ზედამხედველობის პრინციპები.

უნარი

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრს:

- აქვს კვლევასა და პრაქტიკაში მტკიცებითი მედიცინის პრინციპების გამოყენების უნარი, კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარი, დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოების უნარი;

- შეუძლია საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობით გათვალისწინებული დარგობრივი და მომიჯნავე ნორმატიული აქტების შესაბამისად და პროფესიული ცოდნის (მათ შორის - ბიოსტატისტიკის მეთოდებისა და პროგრამული ბაზების) გამოყენებით მონაწილეობის მიღება პროფესიული ამოცანების გადაწყვეტაში:

- დაავადებათა რისკის ფაქტორებზე ზემოქმედების პრევენციული ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში, იმუნოპროფილაქტიკისა და ბიოლოგიური უსაფრთხოების მონიტორინგის ორგანიზებაში, ნოზოკომიური ინფექციების კონტროლში;

- გარემოს მავნე ფაქტორებისა და სპეციფიკური რისკის ფაქტორების იდენტიფიცირებაში, სანიტარიულ-ჰიგიენური პრევენციული ღონისძიებების შემუშავებაში, განხორციელებაში და კონტროლში. პროფესიული დაავადებებით ავადმყოფთა სარეაბილიტაციო ღონისძიებების შემუშავებაში და განხორციელებაში, პერიოდული სამედიცინო შემოწმების და პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების დაგეგმვასა და განხორციელებაში. მოზარდი თაობის ჯანმრთელობის მდგომარეობის კვლევაში და სარეკომენდაციო დოკუმენტაციის მომზადებაში;

- ყველა დონის, მათ შორის – პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ორგანიზებასა და მართვაში, სამედიცინო და საფინანსო-საანგარიშო დოკუმენტაციის გაფორმებაში;

- შეუძლია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ეპიდემიოლოგიური, გარემოს დაცვითი და ადმინისტრაციული გარემოებების კონსოლიდაცია, მდგომარეობის მრავალფაქტორული შეფასება და ინფორმაციის (ადამიანის ჯანმრთელობაზე საარსებო და სამუშაო გარემოს ბუნებრივი და ხელოვნური ფაქტორების გავლენის შესწავლის) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მონაწილეობა:

-მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში და რეტროსპექტული და ოპერატიული ანალიზის განხორციელებაში. გადამდებ დაავადებათა შემთხვევებისა და ეპიდემიური აფეთქებების მიზეზების დადგენაში,

-პირველადი ჰიგიენურ-ეკოლოგიური ღისძიებების შეფასებაში, პროფესიული პათოლოგიის პრევენციული ღონისძიებების და ადრეული დიაგნოსტიკის მონიტორინგში. სურსათის, სპეციალიზებული სურსათის (დიეტური, დიაბეტური, ფორტიფიცირებული), ჩვილ ბავშვთა და ბავშვთა კვების პროდუქტების უვნებლობის ნორმების დაცვის მონიტორინგში.

-სამედიცინო-პროფილაქტიკური დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასებაში,

-მიღებული სპეციალობით სამეცნიერო კვლევის ჩატარებაში, შედეგების პირველად ანალიზსა და მეთოდური რეკომენდაციების შემუშავებაში;

- შეუძლია გუნდური მუშაობის პრინციპების გამოყენება და ინტერპერსონალური კომუნიკაცია, სპეციალისტებისა და არასპეციალისტების გარემოში მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის ადეკვატური გავრცელება. მიღებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და შემეცნების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

-აქვს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების უნარი, ფუნქციის ადეკვატური დელეგირების უნარი, კრიზისულ სიტუაციებში დროული და ადეკვატური ქმედების უნარი;

- აცნობიერებს მისი საქმიანობის მნიშვნელობას მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობაში და შეუძლია: საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით წარმართვა, პროფილაქტიკურ და ეპიდსაწინააღმდეგო საქმიანობაში თავისი ადგილისა და როლის განსაზღვრა, სამედიცინო-პროფილაქტიკური აქტივობების პოპულარიზება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და

	<p>დამკვიდრების ხელშეწყობა;</p> <p>- ახასიათებს პროფესიული სრულყოფისა და დარგობრივი აკადემიური განათლების გაგრძელებისაკენ სწრაფვა. აქვს დიპლომისშემდგომი განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების უნარი. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში საკუთარი ცოდნისა და უნარების თანმიმდევრული და მრავალმხრივი შეფასების საფუძველზე შეუძლია შემდგომი სწავლის აუცილებლობის ადეკვატურად განსაზღვრა.</p>
<p>კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები</p>	<p>კურსდამთავრებულთა დასაქმების არეალი ფართოა და მოიცავს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს, საკუთრების სხვადასხვა ფორმის სამედიცინო, სამეცნიერო-კვლევით და სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან, მათ მომსახურებასთან, მართვასთან და პრევენციული ღონისძიებების გატარებასთან. მათ შორისაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, • საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული, საქალაქო და რეგიონული ცენტრები, • თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრი, • სამედიცინო დაწესებულებები, • სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, • სანიტარიის, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, • საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების დეპარტამენტი, • ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. <p>საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში, რაც ემსახურება სპეციალისტთა მომზადებას საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცალკეულ მიმართულებებში.</p>